ერთმა კაცმა შეეკითხა მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): "როდის იქნება საათი?" მოციქულმა უთხრა: «რა მოამზადე მისთვის?

გადმოცემულია ანასისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: ერთმა კაცმა შეეკითხა მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): "როდის იქნება საათი?" მოციქულმა უთხრა: «რა მოამზადე მისთვის?». მან თქვა: "არაფერი, გარდა იმისა, რომ მიყვარს ალლაჰი და მისი მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას)". მოციქულმა უპასუხა: «შენ იქნები იმასთან, ვინც გიყვარს». ანასმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: "არაფერმა გაგვხარა ისე, როგორც მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამ სიტყვებმა: «შენ იქნები იმასთან, ვინც გიყვარს». ანასმა ასევე თქვა: "მე მიყვარს მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), აბუ ბაქრი და უმარი (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) და იმედი მაქვს, რომ მათი სიყვარულით მათთან ერთად ვიქნები, მიუხედავად იმისა, რომ მათი მსგავსი საქმეები არ გამიკეთებია".

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ერთმა ბედუინმა, რომელიც უდაბნოში ცხოვრობდა, ჰკითხა ალლაჰის მოციქულს განკითხვის საათის დროის შესახებ? მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰკითხა: რა მოამზადე მისთვის კეთილი საქმეებიდან? მკითხველმა უპასუხა: დიდი საქმეები არ მაქვს მომზადებული, გარდა იმისა, რომ მიყვარს ალლაჰი და მისი მოციქული. მან სხვა გულის, სხეულის ან ფინანსური მსახურება არ მოიხსენია, რადგან ყველა ეს ქმედება სიყვარულისგან მომდინარეობს და მასზეა დამოკიდებული. ეს კი იმით არის განპირობებული, რომ გულწრფელი სიყვარული სტიმულს აძლევს კეთილ საქმეთა გულმოდგინედ შესრულებას. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და შვიდობა მას) უთხრა: შენ იქნები სამოთხეში იმასთან ერთდ, ვინც გიყვარს. მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საჰაბებმა ძალიან გაიხარეს ამ სასიხარულო ცნობით. შემდეგ ანასმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) განაცხადა, რომ უყვარს მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), აბუ ბაქრი და უმარი (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) და იმედი აქვს, რომ მათთან ერთად იქნება, მიუხედავად იმისა, რომ მისი საქმეები არ შეესაბამება მათ საქმეებს.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/3087